ხელშეკრულება სერვიტუტის შესახებ

ერთის მხრივ, *უშანგი კუთარაშვილი, ევდუსია კუთარაშვილი*

(პირადი № *59001060805 59001035039* (შემდგომში "მიწის მესაკუთრე");

მეორეს მხრივ სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" (შემდგომში: „კორპორაცია"), წარმოდგენილი კობა გაგნიძეს სახით (პირადი № 01024027141), რომელიც მოქმედებს "კორპორაციის" გენერალური დირექტორის №155 რწმუნებულების საფუძველზე, მესამე მხრივ სს "საქართველოს მილსადენის კომპანიის საქართველოს ფილიალი" (შემდგომში "საოპერაციო კომპანია"), წარმოდგენილი დავით თეთრუაშვილის სახით (პირადი № 01013019462), რომელიც მოქმედებს რწმუნებულების № 110128906 საფუძველზე; "საოპერაციო კომპანია", „მიწის მესაკუთრე" და „კორპორაცია" შემდგომში ცალცალკე მოიხსენებიან როგორც "მხარე", ხოლო ერთობლივად - როგორც „მხარეები";

1996 წლის 8 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ გაფორმებული "ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულების" და მისი დანართის "მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ ხელშეკრულების" (შემდგომში "საერთაშორისო ხელშეკრულება") და "საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობის ტრანსპორტირების ზოგიერთი საშუალების მშენებლობის, ფუნქციონირების, მომსახურების, შეკეთებისა და ექსპლუატაციის და ამ საშუალებებით ნავთობის იმპორტის, ტრანსპორტირების, შენახვისა და ექსპორტის სამართლებრივი პრინციპების შესახებ" 1996 წლის 2 აპრილის საქართველოს კანონის საფუძველზე;

„დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის" უსაფრთხო და შეუფერხებელი ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად აუცილებელი, სექციური ცვლილების პროექტის განხორციელებისათვის (შემდგომში "პროექტი"), „მიწის მესაკუთრის" კერძო საკუთრებაში არსებულ „მიწის ნაკვეთზე" მაგისტრალური მილსადენის მშენებლობის, ექსპლუატაციისა და რეკონსტრუქციის განხორციელებისათვის სერვიტუტის უფლების მოპოვების მიზნით;

წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს "პროექტის" განხორციელების უზრუნველსაყოფად „მიწის მესაკუთრის" მიერ "კორპორაციისათვის" სერვიტუტის უფლების მინიჭება, რომლის ფარგლებში "საოპერაციო კომპანია" "მიწის ნაკვეთზე" განახორციელებს მილსადენი საშუალებების მშენებლობასა და მათ ექსპლუატაციას, რისთვისაც ისარგებლებს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შესაბამისი უფლებებით.

ტერმინთა განმარტებები

2.1.„ხელშეკრულებაში“ გამოყენებულ სიტყვებს და ფრაზებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
2.1.1. სამშენებლო პერიოდი – “მილსადენისა” და „მილსადენი საშუალებების“ მშენებლობის პერიოდი, ყველანაირი ტესტირებისა და გამოკვლევების და ხარვეზების გამოსწორების პერიოდების ჩათვლით.
2.1.2. ექსპლუატაციის პერიოდი – ”მილსადენისა” და „მილსადენი საშუალებების“ ექსპლუატაციისა ან/და ფიზიკური არსებობის მთლიანი პერიოდი, ”სამშენებლო პერიოდის” დასრულებიდან ”მილსადენისა” და „მილსადენი საშუალებების“ სრული დემონტაჟის დასრულებამდე.
2.1.3. მილსადენის საგანგებო ოპერაციები - მოქმედებები, რომელთა დაუყოვნებლივი განხორციელება აუცილებელია იმისათვის, რომ შენარჩუნდეს ან აღდგეს ”მილსადენის” მთლიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოებრივი უსაფრთხოება და/ან გარემოს დაცვა (მათ შორის ავარიის ლიკვიდაციისა და პრევენციისაკენ მიმართული მოქმედებები).
2.1.4. მილსადენის ჩვეულებრივი ოპერაციები - ”საოპერაციო კომპანიის“ ან მისი სახელით შესასრულებელი მოქმედებები, რომელთა განხორციელება საჭიროა „მილსადენი საშუალებებით“ სარგებლობისა და გამოყენების, ”მილსადენისა” და ”მილსადენი საშუალებების” ტექნიკური მომსახურებისა და ფუნქციონირებისათვის.

2.1.5. მილსადენის სარემონტო სამუშაოები - ”საოპერაციო კომპანიის“ მიერ ან მისი სახელით შესასრულებელი მოქმედებები, რომელთა განხორციელება საჭიროა რათა შენარჩუნდეს „მილსადენის“ მთლიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს ”მილსადენის” შეუფერხებელი ექსპლუატაცია, საზოგადოებრივი უსაფრთხოება და/ან გარემოს დაცვა.
2.1.6. მილსადენი – დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი.
2.1.7. მილსადენი საშუალებები - ყველა ნაგებობა, მოწყობილობა და სხვა საშუალება, რომლებიც ერთად შეადგენენ „მილსადენის“ იმ ნაწილს, რომელიც „მიწის ნაკვეთზე“ ან მის ქვეშ არის განთავსებული და, რომლებიც დაკავშირებულია ”მილსადენის” მშენებლობასა და ექსპლუატაციასთან.
2.1.8. მიწის ნაკვეთი - „მიწის მესაკუთრის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი:

№ *665515084*

რომლის მდებარეობა, საზღვრები, ფართობი და სამართლებრივი სტატუსი იდენტიფიცირებულია ამ ხელშეკრულებაზე თანდართული ამონაწერით ”საჯარო რეესტრიდან” (დანართი №1), ასევე საკადასტრო გეგმით (დანართი №2).
2.1.9. მილსადენის სამშენებლო-საექსპლუატაციო დერეფანი (სერვიტუტის მიწა) - „მიწის ნაკვეთის“ ნაწილი, რომელიც უწყვეტი შავი ხაზებით არის შემოფარგლული, როგორც ეს ნაჩვენებია თანდართულ მიწის ნაკვეთის საკადასტრო ანზომვით ნახაზზე (დანართი №3), სერვიტუტის მიწის ფართობი:

2179.16 კვ.მ.

2.1.10. შეზღუდვები - წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლში განსაზღვრული შეზღუდვები.
2.1.11. ნაგებობა – “მიწის ნაკვეთის” მესაკუთრის მფლობელობაში არსებული, “სერვიტუტის მიწაზე” მდებარე, მიწასთან უძრავად დაკავშირებული საყოფაცხოვრებო, სასოფლო-სამეურნეო ან სხვა ნაგებობა.

2.1.12. მშენებელი კონტრაქტორი – ”საოპერაციო კომპანიის“ მიერ დაქირავებული კვალიფიციური სამშენებლო კომპანია, რომელიც შეასრულებს „მიწის ნაკვეთზე“ ყველა სამშენებლო სამუშაოს „სამშენებლო პერიოდის“ განმავლობაში.
2.1.13. საჯარო რეესტრი - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ შესაბამისი სარეგისტრაციო სამსახურები.

. მხარეთა განცხადებები

3.1. „მიწის მესაკუთრე“, ამონაწერით “საჯარო რეესტრიდან”, ადასტურებს, რომ არის ”მიწის ნაკვეთის” მესაკუთრე და რომ ”მიწის ნაკვეთი” არის უფლებრივად უნაკლო (მიწასთან და მიწაზე არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით არცერთ სხვა პირს არ გააჩნია რაიმე მოთხოვნა, უფლება ან ინტერესი).

3.2. ”მიწის მესაკუთრე” ასევე ადასტურებს, რომ მის მიერ მოპოვებულ იქნა ”წინამდებარე ხელშეკრულების” გაფორმებისა და შესრულებისათვის საჭირო ყველა ნებართვა და თანხმობა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დოკუმენტები ყოველმხრივ ნამდვილი და ზუსტია.

3.3. ”კორპორაცია” ადასტურებს, რომ არის იურიდიული პირი, რომელიც დაფუძნებული და რეგისტრირებული არის და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რომ, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი აღჭურვილია სათანადო უფლებამოსილებით.

3.4. ”მხარეებმა” არ იციან არავითარი ისეთი მიზეზისა, თუ გარემოების შესახებ, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მათ მიერ ”წინამდებარე ხელშეკრულების” გაფორმებას და შესრულებას.

4. სერვიტუტის უფლების მინიჭება

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების ძალით და მისი პირობების საფუძველზე, „მიწის მესაკუთრე“ ”კორპორაციას” ანიჭებს სერვიტუტის უფლებას „მიწის ნაკვეთზე“.

4.2. სერვიტუტის უფლება, რომლის მფლობელი გახდება ”კორპორაცია“ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, რეგისტრირებული უნდა იქნეს „საჯარო რეესტრში“ სანივთო უფლებად, რომლის რეგისტრაციის შემდეგ ”საოპერაციო კომპანია” ”მიწის მესაკუთრეს” გადაუხდის შესაბამის კომპენსაციას, განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულების მუხლი 7 (7.1 და 7.2 პუნქტებით). სერვიტუტის უფლება, მისი არსებობის განმავლობაში დაავალდებულებს როგორც „მიწის მესაკუთრეს“, მის მემკვიდრეებს, ასევე ყველა მომავალ მესაკუთრეს, მოსარგებლეს და ყველა სხვა პირს, რომელიც პრეტენზიას განაცხადებს რაიმე უფლებაზე ან ინტერესზე “სერვიტუტის მიწის” მიმართ. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, “სერვიტუტის მიწის” მესაკუთრის ვინაობაში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ ახალი მესაკუთრე გახდა წინამდებარე ხელშეკრულებისა და წინამდებარე სერვიტუტის უფლების მხარე ყველა მიზნისათვის და წინამდებარე ხელშეკრულებაში არსებული მითითებები - „მიწის მესაკუთრე“, „მხარე“, „მხარეები“, საკუთრების უფლების ასეთი გადაცემის ძალაში შესვლის თარიღიდან, ჩაითვლება მითითებად ასეთ ახალ მესაკუთრეზე ყოფილი მესაკუთრის ნაცვლად.

5. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

5.1. “სერვიტუტის მიწის” მიმართ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში ”კორპორაცია” და ”საოპერაციო კომპანია” და მათ მიერ სათანადოდ უფლებამოსილი სხვა პირები ისარგებლებენ შემდეგი უფლებებით:

5.1.1. „სამშენებლო პერიოდის“ განმავლობაში თავისუფლად შევიდნენ, შეიტანონ და განათავსონ ნებისმიერი მანქანები, მოწყობილობები და მასალა, აგრეთვე აკრძალონ, შეზღუდონ ან არ დაუშვან „მიწის მესაკუთრის“ და/ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ მიწის დაკავება, სარგებლობა, ფლობა და კონტროლი, რამდენადაც ეს აუცილებელია „მილსადენის“ ოპერაციებისათვის;

5.1.2. განახორციელონ ნებისმიერი და ყველა სახის მიწისზედა და მიწისქვეშა „მილსადენის“ სამშენებლო საქმიანობა, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს გამწმენდ და გათხრით სამუშაოებს, ასევე განახორციელონ დემონტაჟი, ააშენონ და დაამონტაჟონ ნებისმიერი „მილსადენი საშუალებები“ ნებისმიერ დროს „სამშენებლო პერიოდის“ განმავლობაში;

5..1.3. მშენებლობის დასრულებისთანავე და ნებისმიერ დროს ”საექსპლუატაციო პერიოდის” განმავლობაში, განახორციელონ ნებისმიერი და ყველა საქმიანობა „მილსადენი საშუალებებით“ სარგებლობის, მათი ფუნქციონირების და გამოყენების მიზნით, რაც მოიცავს, შეზღუდვის გარეშე, დამატებითი „მილსადენი საშუალებების“ მშენებლობას და ასეთი საშუალებებით სარგებლობას, აგრეთვე ნებისმიერი „მილსადენი საშუალებების“ ტექნიკურ მომსახურებას, დაცვას, შეკეთებას, შეცვლას, გადაიარაღებას, განახლებას, განვრცობას, სიმძლავრეების გაფართოებას, განშტოებას, შემოწმებას, დემონტაჟს, ჩანაცვლებას, გაუქმებას და სხვა სამუშაოებს;

.4. შევიდნენ „მილსადენის სამშენებლო-საექსპლუატაციო დერეფანში“ „მილსადენის ჩვეულებრივი ოპერაციების“, “მილსადენის საგანგებო ოპერაციების”, “მილსადენის სარემონტო სამუშაოების” შესრულების და/ან “მიწის მესაკუთრის” მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლით გათვალისწინებული „შეზღუდვების“ შესრულების შემოწმების მიზნით.

5.2. „მიწის მესაკუთრე“ უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერ დროს, როდესაც “სერვიტუტის მიწა” ან მისი რაიმე ნაწილი იქნება მისი ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მფლობელობაში ან/და კონტროლის ქვეშ, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ”კორპორაციის“ და ”საოპერაციო კომპანიის” უფლებების განხორციელება არ შეიზღუდება, არ შეფერხდება, არ დაექვემდებარება რაიმე პირობას, არ შეწყდება და არ მოხდება მათში ჩარევა ნებისმიერი პირის მიერ.

5.3. ”საოპერაციო კომპანია“ კისრულობს ვალდებულებას:

5.3.1. გადაუხადოს კომპენსაცია „მიწის მესაკუთრეს“ წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის შესაბამისად;

5.3.2. “სამშენებლო პერიოდის” დასრულებისთანავე, განახორციელოს “სერვიტუტის მიწის” მის პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენა, გონივრული შესაძლებლობის ფარგლებში”.

5.4. “სერვიტუტის მიწის” პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის შემდეგ უნდა გაფორმდეს მიწის მიღება-ჩაბარების აქტი.

5.5.“საოპერაციო კომპანია” კისრულობს ვალდებულებას

5.5.1. 72 საათით ადრე აცნობოს “კორპორაციასა” და „მიწის მესაკუთრეს“ „მილსადენის სარემონტო სამუშაოების“ დაწყების შესახებ;

5.5.2. „მილსადენის სამშენებლო-საექსპლუატაციო დერეფანში“ „მილსადენის საგანგებო ოპერაციების“ დაწყებამდე ან დაწყების შემდეგ შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში შეატყობინოს „მიწის მესაკუთრეს“ აღნიშნულის შესახებ.

6. შეზღუდვები

6.1. „მიწის მესაკუთრე“ კისრულობს ვალდებულებას, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, დაიცვას ამ მუხლით გათვალისწინებული „შეზღუდვები“. შეზღუდვების ჩამონათვალი დანართი №4-ის სახით თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. „შეზღუდვები“ არ ვრცელდება ”საოპერაციო კომპანიაზე“ და/ან მის მიერ სათანადოდ უფლებამოსილ სხვა პირებზე.

6.2. საექსპლუატაციო პერიოდის განმავლობაში „მიწის მესაკუთრემ“, უნდა დაიცვას ”მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 27 დეკემბრის №963 ბრძანებულებით განსაზღვრული შეზღუდვები.

6.3. „სამშენებლო პერიოდის“ განმავლობაში „მიწის მესაკუთრეს“ არ აქვს “სერვიტუტის მიწის” ტერიტორიაზე შესვლისა და რაიმე საქმიანობის განხორციელების უფლება.

6.4 „მიწის მესაკუთრე“ ვალდებულია აცნობოს „მიწის ნაკვეთის“ ყველა მოსარგებლეს და/ან ახალ მესაკუთრეს წინამდებარე „შეზღუდვების“ შესახებ.

6.5. წინამდებარე ვალდებულებების შეზღუდვის გარეშე, „მიწის მესაკუთრე“ ვალდებულია დაუყონებლივ შეატყობინოს ”საოპერაციო კომპანიას“ „შეზღუდვების“ ნებისმიერი დარღვევის შესახებ მაშინვე, როგორც კი „მიწის მესაკუთრე“ შეიტყობს ასეთი დარღვევის შესახებ.

6.6. „მიწის მესაკუთრე“ სრულად აგებს პასუხს ”საოპერაციო კომპანიის“ წინაშე ნებისმიერი პირდაპირი და არაპირდაპირი ზიანისთვის რაც გამომდინარეობს ან/და დაკავშირებულია „მიწის მესაკუთრის“ ან/და მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული „შეზღუდვების“ დარღვევასთან.

7. კომპენსაცია

7.1 წინამდებარე ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად წინამდებარე სერვიტუტის უფლების მინიჭებისათვის და დაწესებული შეზღუდვებისათვის სრული და საბოლოო ანაზღაურების სახით, „საოპერაციო კომპანია“ „მიწის მესაკუთრეს“ გადაუხდის საზღაურს.

6694 (ექვსი ათას ექვსას ოთხმოცდათოთხმეტი) ლარის ოდენობით

10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც განხორციელდება “მხარეთა” მიერ ხელმოწერილი წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სერვიტუტის უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

ᲛᲘᲬᲘᲡ ᲡᲐᲛ
ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ
№348
ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲜᲘᲡ ...

კომპენსაციის ოდენობა გამოთვლილია "სასოფლო-სამეურნეო მიწის დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. 7.2. წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტში მითითებული კომპენსაციის გარდა "საოპერაციო კომპანია" კისრულობს ვალდებულებას "სერვიტუტის მიწაზე" სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, არსებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ნარგავების, დაუმთავრებელი წარმოებისა და უძრავი ქონების ზიანისათვის, "მიწის ნაკვეთის" აღწერის დოკუმენტის საფუძველზე, გადაუხადოს "მიწის მესაკუთრეს" დამატებითი კომპენსაცია. ღირებულება დადგენილი იქნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" მიერ, რაზედაც "მხარეები" უპირობო და შეუქცევად თანხმობას აცხადებენ.
7.3. "მიწის მესაკუთრეს" უფლება არ აქვს მოითხოვოს "საოპერაციო კომპანიისაგან" და "კორპორაციისაგან" რაიმე დამატებითი საკომპენსაციო თანხა.
7.4. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების უზრუნველყოფისათვის საჭირო ყველა ხარჯს გაიღებს "საოპერაციო კომპანია".

8. მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის "მხარეთა" მიერ მისი ხელმოწერისა და "საჯარო რეესტრში" სერვიტუტის უფლების რეგისტრაციის მომენტიდან და ძალაშია "მშენებლობის პერიოდისა" და "ექსპლუატაციის პერიოდის" განმავლობაში.
8.2. "მიწის მესაკუთრეს" არ აქვს უფლება ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

9. მარეგულირებელი სამართალი და დავების მოგვარება

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება "საერთაშორისო ხელშეკრულებით" და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით.
9.2. "მხარეები" შეეცდებიან ნებისმიერი დავის მოლაპარაკების გზით მოგვარებას. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავა განსახილველად გადაეცემა საქართველოს შესაბამისი განსჯადობის მქონე სასამართლოს.
9.3. დავის არსებობა გავლენას არ იქონიებს და არ ათავისუფლებს "მხარეებს" ვალდებულებისაგან, მკაცრად დაიცვან „შეზღუდვები", ისევე, როგორც წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი და ყველა სხვა პირობა.

10. სხვადასხვა

10.1. ყველა დანართი, დამატება და ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში უნდა განხორციელდეს "მხარეების" ხელმოწერით წერილობითი ფორმით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულებაში განუყოფელ ნაწილს.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში და არც შემდგომ, "მიწის მესაკუთრეს" არ ექნება რაიმე უფლება ან ინტერესი „მილსადენ საშუალებებზე", ისევე როგორც მიწის ზევით ან მის ქვეშ "საოპერაციო კომპანიის" ან მის მიერ სათანადოდ უფლებამოსილი სხვა პირების მიერ განთავსებული რაიმე სხვა უძრავი თუ მოძრავი ქონების მიმართ.
10.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ოთხ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო გადაეცემა "მხარეებს", ხოლო ერთს "კორპორაცია" დაურთავს თავის განცხადებას საჯარო რეესტრში წარდგენის დროს სერვიტუტის უფლების რეგისტრაციის მიზნით.

ნნისტრო
სააგენტ
201

II. "მხარეთა" რეკვიზიტები

"მიწის მესაკუთრე" უშანგი კუთარაშვილი, ევდუსია კუთარაშვილი

პირადი ნომერი 59001060805 59001035039

მისამართი სოფ. ქვ. ანაგისოფელი

"კორპორაცია"

სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"საიდ. კოდი: 206 237 491
საბანკო რეკვიზიტები:
სს "საქართველოს ბანკი"კოდი: 220101502 ა/ა 145770000
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №21 ტელ: 24 40 40; ფაქსი: 24 40 41

"საოპერაციო კომპანია"

სს "საქართველოს მილსადენის კომპანიის საქართველოს ფილიალი"
მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქ. 38

"მიწის მესაკუთრე" (ხელმოწერა)

"კორპორაციის სახელით" (ხელმოწერა)

"საოპერაციო კომპანიის სახელით" (ხელმოწერა)

GPC №201965090 GEORGIAN PIPELINE COMPANY

დანართი №1.
ამონაწერი "საჯარო რეესტრიდან"

დანართი №2.
მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა

დანართი №3
მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი, სერვიტუტის საზღვრების მითითებით.

დანართი №4
შეზღუდვების ჩამონათვალი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №348
თარიღი "10" სექტემბერი 2017 წ.
მკ.რაოდენობა 6 ხელმოწერა

<u>ზონა 1</u>

მილსადენის ცენტრალური ღერძიდან 4 მეტრი ორივე მხარეს

ზონა 1-ში მოქმედი რეჟიმის მახასიათებლები		
დასაშვებია:	ოპერატორის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე იკრძალება:	იკრძალება:
ა) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელება, 30 სმ-მდე სიღრმეზე, 10.6 ტონამდე წონის და ნიადაგზე 1.01 კგ/სმ^2-მდე დაწნევის მქონე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანების გამოყენებით, რომელთა თვითეულ ღერძზე მოსული დატვირთვა არ აღემართება 7.6 ტონას;	ა) სასოფლო-სამეურნეო საქმიანიბა და მიწის სამუშაოები; ბ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანების გამოყენება; გ) არსებული არხებისა და სადინრების გაწმენდა-გასუფთავება; დ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანების მოძრაობა, რომელთა წონა აღემატება 1,5 ტონას; ე) საკომუნიკაციო ან სატრანსპორტო ხაზობრივი ნაგებობის, კაბელების ან მილების დამონტაჟება, მშენებლობა, რეკონსტრუქცია; ვ) ღობეების დამონტაჟება; ზ) ნიადაგიდან სინჯების აღება; თ) მდინარის ნაპირების ან მიმდებარე ტერიტორიის შეცვლა ან მოშლა, ნაპირებზე ნარგავების გაჩეხვა ან ამოღება; ი) ნებისმიერი სახის ზემოქმედება მდინარის	ნებისმიერი საქმიანობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მაგისტრალური მილსადენის ნორმალური ფუნქციონირების მოშლა, კერძოდ: ა) ხევების დარგვა; ბ) ნებისმიერი სახის საქმიანობა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მაგისტრალური მილსადენისათვის ან მაგისტრალურ მილსადენთან დაკავშირებული ობიექტისათვის ზიანის მიყენება; გ) ნებისმიერი სახის საქმიანობა, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მაგისტრალური მილსადენის პატრულირებას და სხვა საექსპლუატაციო საქმიანობას; დ) ნებისმიერი დანიშნულების ჭაბურღილის მოწყობა; ე)ნებისმიერი ფორმით მიწის საფარის ამაღლება ან დადაბლება;

	დინებაზე ან კალაპოტზე, მათ შორის მდინარიდან ინერტული მასალების ამოღება.	ვ) მაგისტრალურ მილსადენთან დაკავშირებულ ობიექტებზე ზემოქმედება ან მათი დაზიანება; ზ) 30 სმ-ზე მეტი სიღრმის ახალი საირიგაციო ან სადრენაჟო არხების აგება; თ) რაიმე სახის მასალის, მათ შორის ნაგვის ან ნარჩენების განთავსება – ნაგავსაყრელის მოწყობა; ი) ნებისმიერი სახის შენობის ან ნაგებობის მშენებლობა; კ) ასაფეთქებელი ნივთიერებებით სარგებლობა; ლ) ნებისმიერი სახის შედუღება ან ცეცხლის ალის ანთება: მ) ადვილად აალებადი, კოროზიული ან ტოქსიკური სითხეების შენახვა ან დაღვრა; ნ) ფურაჟის, სასუქის და სხვა მასალების შენახვა; ო) მანქანების ან სხვა მოძრავი აგრეგატების გასაჩერებლად სადგომების მოწყობა; პ) დაღვრილი ნავთობის შეგროვების და გავრცელების შეკავების მიზნით მოწყობილი საცავების, არხების ან თხრილების შეცვლა ან დაზიანება; რ) მაგისტრალური

		მილსადენის დამცავი ნაგებობების შეცვლა ან დაზიანება; ს) ნებისმიერი საქმიანობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ზონის დატბორვა; ტ) იმ სახეობის ნარგავების დარგვა, რომლებიც არ არის ნებადართული N1 დანართში მოცემული ნარგავების განთავსების სქემის შესაბამისად.
მიწის დამუშავება 4 ტონამდე წონის ტრაქტორით, 30 სმ სიღრმეზე.		

<u>ზონა 2</u>

მილსადენის ცენტრალური ღერძიდან 4 მეტრიდან 25 მეტრამდე ორივე მხარეს.

ზონა 2-ში მოქმედი რეჟიმის მახასიათებლები		
ნებადართულია	ოპერატორის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე იკრძალება:	იკრძალება:

	ა) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა და მიწის სამუშაოები; ბ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანების გამოყენება; გ) არსებული არხებისა და სადინრების გაწმენდა-გასუფთავება; დ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანების მოძრაობა, რომელთა წონა აღემატება 1,5 ტონას; ე) საკომუნიკაციო ან სატრანსპორტო ხაზობრივი ნაგებობის, კაბელების ან მილების დამონტაჟება, მშენებლობა, რეკონსტრუქცია; ვ) ღობეების დამონტაჟება; ზ) ნიადაგიდან სინჯების აღება; თ) მდინარის ნაპირების ან მიმდებარე ტერიტორიის შეცვლა ან მოშლა, ნაპირებზე ნარგავების გაჩეხვა ან ამოღება: ი) ნებისმიერი სახის ზემოქმედება მდინარის დინებაზე ან კალაპოტზე, მათ შორის მდინარიდან ინერტული მასალების	ნებისმიერი საქმიანობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მაგისტრალური მილსადენის ნორმალური ფუნქციონირების მოშლა, კერძოდ: ა) ნებისმიერი სახის შენობის ან ნაგებობის მშენებლობა; ბ) ასაფეთქებელი ნივთიერებებით სარგებლობა; გ) ნებისმიერი სახის შედუღება ან ცეცხლის ალის ანთება; დ) ადვილად აალებადი, კოროზიული ან ტოქსიკური სითხეების შენახვა ან დაღვრა; ე) ფურაჟის, სასუქის და სხვა მასალების შენახვა; ვ) მანქანების ან სხვა მოძრავი აგრეგატების გასაჩერებლად სადგომების მოწყობა; ზ) დაღვრილი ნავთობის შეგროვების და გავრცელების შეკავების მიზნით მოწყობილი საცავების, არხების ან თხრილების შეცვლა ან დაზიანება; თ) მაგისტრალური მილსადენების დამცავი ნაგებობების შეცვლა ან დაზიანება; ი) იმ სახეობის ნარგავების დარგვა, რომლებიც არ არის ნებადართული N1 დანართში მოცემული ნარგავების განთავსების სქემის შესაბამისად.
ჩვეულებრივი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელება, მათ შორის ყოველწლიური ნათესების დათესვა, არაუმეტეს 30 სმ-ის სიღრმეზე, იმ პირობით, რომ ამგვარი საქმიანობისათვის გამოყენებული იქნება 10.6 ტონაზე ნაკლები წონის და 1.01 კგ/სმ^2-ზე ნაკლები დაწნევის მქონე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანები, რომელთა თვითეულ ღერძზე მოსული დატვირთვა 7.6 ტონაზე ნაკლებია, (როგორიც არის, მაგ., „ნივის“ ტიპის მოსავლის ამღები კომბაინი)		

	ამოღება. კ) 30 სმ-ზე მეტი სიღრმის ახალი საირიგაციო ან სადრენაჟო არხების გაყვანა; ლ) მიწის საფარის ამაღლება ან დადაბლება; მ) ნებისმიერი დანიშნულების ჭაბურღილის მოწყობა.	
მიწის დამუშავება 4 ტონაზე ნაკლები წონის ტრაქტორით, არაუმეტეს 30 სმ სიღრმეზე		
ხეებისა და ბუჩქების დარგვა ნარგავთა განთავსების სქემის შესაბამისად (ცხრილი 2)		
არსებული არხებისა და სადინრების გაწმენდა-გასუფთავება		